სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
ქალაქი გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

სტრატეგიული დოკუმენტის სახელწოდება: ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტი;

დამგეგმავი ორგანო: სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო;

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გურჯაანი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 12.09.2023;

2023 წლის 12 სექტემბერს, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის კონცეფცია და სკოპინგის განცხადება. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის კონცეფციისა და სკოპინგის განცხადების (თანდართული დოკუმენტაციით), როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება (https://ei.gov.ge/ka/info/49957eb5-dab2-4708-8045-5ca7c9812de5), ასევე დოკუმენტაციის გაგზავნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ვინაიდან, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი არ გააჩნია, სკოპინგის განცხადება განთავსდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (ელ. ბმული https://www.economy.ge/?page=economy&s=165)

სკოპინგის განცხადება მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი და უფლებამოსილი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურების თაობაზე. სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრულ არეალს წარმოადგენს ქალაქი გურჯაანის ცენტრალური ნაწილი, რომლის ფართობი 105.4 ჰა-ია. ქალაქი გურჯაანი წარმოადგენს გურჯანიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მთისწინეთისა და ალაზნის ვაკის მიჯნაზე, ბაკურციხე-თელავის საავტომობილო გზაზე, ზღვის დონიდან 415 მეტრზე, თბილისიდან 122 კილომეტრში.

დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალში გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

- ქაოტური მშენებლობა;
- ქალაქის სარეკრეაციო ზონებს შორის საფეხმავლო კავშირების ნაკლებობა;
- ბუნებრივი აქტივების გამოუყენებლობა;

- ჩქაროსნული მაგისტრალის თბილისი-ბაკურციხის განვითარების თანმდევი პრობლემები;
- დაბინძურებული მდინარეები;
- მდინარე ნავთისხევის კალაპოტი;
- მოუწესრიგებელი სატრანსპორტო კვანძები;

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიული დოკუმენტის მიზნებად და ამოცანებად განისაზღვრა:

- მდინარის და მისი კალაპოტის მოწესრიგება;
- ახალი სარეკრეაციო სივრცეების შექმნა მდინარის გასწვრივ როგორც ერთიანი მწვანე დერეფანი (სარეკრეაციო ზონა ქალაქის მასშტაბში);
- ახალი სამანქანო და საფეხმავლო კავშირები და ხიდები;
- ველობილიკების და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა;
- პარკების ტერიტორიის მოწესრიგება და განვითარება;
- ბაზრის ტერიტორიის და მდინარის ნაპირის მოწესრიგება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგება;
- სატრანსპორტო ჰაბის ჩამოყალიბება;

დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება დაგეგმილია სამ ეტაპად (2023-2035წწ): I ეტაპი - 2023-2025წწ; II ეტაპი - 2025-2030წწ; III ეტაპი - 2030-2035წწ;

ქალაქ გურჯაანის სტრუქტურის კვლევის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა ფუნქციების ზონები (გარდა საცხოვრებელი ზონისა), რომლებიც, უმეტესად, ცენტრალურ ნაწილშია თავმოყრილი, ხოლო აღნიშნული ზონების დაჯგუფებით შემუშავდა ცენტრის საზღვარი.

ქალაქის განაშენიანება მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მთისწინეთზე. მთავარი გზატკეცილი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. სგშ-ის ანგარიშის თანახმად, ქალაქის ცენტრალური უბნები ფერდობზე და ხეობებს შორისაა შეფენილი. რთული რელიეფის გამო რთულდება მათი საფეხმავლო კავშირი, შესაბამისად აღნიშნული სივრცეები განიცდიან ვიზიტორთა ნაკლებობას. დოკუმენტის თანახმად, შემუშავდა ლიფტების, ხიდების და საბაგიროების სისტემა, რომელიც ცენტრალურ ზონებს დააკავშირებს და ერთ საფეხმავლო და ველო მარშრუტზე განათავსებს ცენტრის ყველა მნიშვნელოვან ობიექტს.

დოკუმენტის თანახმად ქალაქს ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშესაწყობად ესაჭიროება ინფრასტრუქტურული, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პროექტების ინიცირება, მათ შორის ახალი მიზიდულობის ცენტრების შექმნა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და სხვა დაკავშირებული სექტორების განვითარებას.

ქ. გურჯაანის ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად და ცალკეული სექტორების მხარდაჭერის პარალელურად, შემუშავდა სამომავლო განვითარების ხედვა, როგორც ეკონომიკური, ამასთანავე სივრცითი მოწყობის მიმართულებით.

დოკუმენტის თანახმად, ქალაქის პოტენციალიდან გამომდინარე, რეკომენდებულია მოხდეს გურჯაანის როგორც, განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე, მეღვინეობის და კულინარიის ქალაქის იდენტიფიცირება, გაიზარდოს ვიზიტორების დარჩენის ხანგრძლივობა, შეიქმნას ახალი მიზიდულობის ცენტრები, დაემატოს ბრენდული ურბანული და კურორტის ტიპის განთავსების ობიექტები.

დოკუმენტის თანახმად, მდებარეობიდან გამომდინარე ქალაქს აქვს პოტენციალი გახდეს კახეთის რეგიონის სატრანსპორტო და ტურისტული ცენტრი, საიდანაც გამარტივდება მუნიციპალიტეტსა და რეგიონის სხვა ქალაქებთან წვდომა ადგილობრივებისა და საერთაშორისო ვიზიტორებისათვის.

კონცეფციის თანახმად ქ. გურჯაანის ცენტრისათვის განისაზღვრა ახალი მიზიდულობის ცენტრები:
- რკინიგზის სადგური მიმდებარე ტერიტორიებით (ღვინის მოედანი);
- ინტეგრირებული სივრცე (სავაჭრო ცენტრი და ავტო-სატრანსპორტო ჰაბი);
- თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული ტერიტორია (საცხოვრებელი ზონა, სასტუმრო, სადეგუსტაციო სივრცეები);
- ბაზრის მიმდებარე ტერიტორია (კვება და სავაჭრო ობიექტები);
- ახტალას ტალახის ვულკანი (სპა და გამაჯანსაღებელი სასტუმრო);
- ფესტივალები ღია სივრცეებში (გასტრონომია და ღვინო).

დოკუმენტაციის თანახმად, ქალაქის ცენტრის მაფორმირებელი ძირითადი ზონებია:

1) საზოგადოებრივი ცენტრი;
2) ახტალის პარკი და დიდების მემორიალური პარკი;
3) ცენტრალური პარკი;
4) მდინარე ახტალისხევი, მისი გამწვანებული სანაპირო ზოლი;
5) სავაჭრო კვარტალი;
6) რკინიგზის სადგურის მოედანი და პლატფორმის მიმდებარე ხეივანი;
7) პლატოზე მდებარე სამხედრო საწყობები;
8) თავისუფლების ქუჩა.

დოკუმენტის თაანხმად, ქალაქის ცენტრი, ადმინისტრაციული შენობები 3-4 სართულიანი განაშენიანებით არის და საჭიროა მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება: როგორც საინჟინრო ასევე საგზაო - საფეხმავლო და ველობილიკების საერთო ქსელის შემუშავება, განათებების, გამწვანების, ავტობუსის გაჩერებების და სხვა ამდაგვარი ობიექტების დაგეგმარება. წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად ახტალის პარკი და ვულკანის კრატერები უნდა გახდეს ტურისტული ატრაქცია. დოკუმენტის თანახმად, მდინარის გასწვრივ დაცული უნდა იყოს 10-მეტრიანი წყალდაცვითი ზონა, აიკრძალოს მშენებლობები და მოეწყოს გამწვანებული სარეკრეაციო სივრცე.
აგრარული ბაზარი მცირე სავაჭრო ობიექტებით საჭიროებს შემდგომ დეტალურ დაგეგმარებას, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი კავშირები საზოგადოებრივ ცენტრთან

და მის ზემოთ პლატოზე განვითარებულ მრავალფუნქციურ კომპლექსთან. რკინიგზის სადგურის შენობა და პლატფორმის მიმდებარე ხეივანი, „ბებოს ბაღი“, ორი საცხოვრებელი სახლი რკინიგზის თანამშრომლებისთვის და მათი მიმდებარე არეალი, ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივია. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, უფუნქციო ყოფილი სამხედრო საწყობების ტერიტორია, მნიშვნელოვანია ჩაერთოს ქალაქის ინფრასტრუქტურაში (სასტუმრო, საცხოვრებელი, გასართობი, კვების ობიექტები, სპორტული და საგამოფენო სივრცეები).

სგშ-ის სკოპინგის თანახმად განაშენიანების გეგმა ითვალისწინებს ქ. გურჯაანის ცენტრალური ნაწილის, ძირითადი ქუჩების და მოედნების რეკონსტრუქციას. სქემის მიხედვით, ქუჩებში ერთმანეთისგან გამიჯნულია საავტომობილო (ორი ზოლი-7მ), საველოსიპედე (ორი ზოლი-2მ) და საფეხმავლო გზები (ქუჩის ორივე მხარეს), ამასთანავე სქემაზე დატანილია ავტოსადგომები, ხოლო საფეხმავლო გზებთან-ტროტუარებთან გათვალისწინებულია გამწვანებული ზოლების მოწყობა.

დოკუმენტაციის თანახმად, თავისუფლების ქუჩა, იგივე შ42 მაგისტრალი, რომელიც გურჯაანს შუაზე ყოფს, ამჟამად ჩანაცვლდა შემოვლითი გზით, შესაბამისად, ქუჩამ დაკარგა მაგისტრალის ფუნქცია და ავტომობილების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. განაშენიანების გეგმა ითვალისწინებს მის რეკონსტრუქციას, გზის ამ მონაკვეთს მიუყვება პარალელური ქუჩა, რომელიც საშუალებას იძლევა, დაემატოს საფეხმავლო ზოლი კარგად განვითარებული საპარკო ინფრასტრუქტურით (მოწესრიგებული ტროტუარები, გამწვანება, საპარკო აღჭურვილობა და ველობილიკები). დოკუმენტის თანახმად, ალტერნატიულ ვარიანტად შესაძლებელია განხილული იყოს თამარ მეფის ქუჩის ახტალის პარკის მონაკვეთში, ავტომობილით გადაადგილების სრულად შეზღუდვა და მხოლოდ შიდა - ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის (გაჩერებებით) დატოვება.

ქუჩების გარდა განაშენიანების გეგმა ითვალისწინებს ცენტრში არსებული სამი მოედნის სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქციას - მოწესრიგებას. აქედან, ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას საჭიროებს თავისუფლების ქუჩის, წმ. ნინოს ქუჩის და ვაჟა-ფშაველას ქუჩის დამაკავშირებელი მოედანი. ამ მოედნიდან, ვაჟა-ფშაველას ქუჩის გავლით, ხდება დაკავშირება სოფ. ზიართან, კაჭრეთთან და მათ მიმდებარედ არსებულ სხვა მუნიციპალურ სოფლებთან. ასევე ამ მოედნის გავლით ხდება ბევრ სხვა მნიშვნელოვან ობიექტებთან კავშირი, მათ შორისაა გურჯაანის ბაზარი, ახალი მაგისტრალური გზა და სხვა. კონცეფციით გათვალისწინებულია მოედნის გაფართოება, რომლის მიმდებარედაც მოეწყობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილები. მოედნის რეკონსტრუქციისას გასათვალისწინებელია მდ. ნავთისხევის ჩართვა მდ. ახტალისხევთან.

დოკუმენტაციის თანახმად, საზოგადობრივ ცენტრს მიენიჭა ცენტრის ზონა (შზ-2), ხოლო ახტალის პარკში ვულკანური კრატერის ირგვლივ და კრატერიდან ჩამავალ მდინარეს მიენიჭა ლანდშაფტური ტერიტორიის სტატუსი, რომელიც მაქსიმალურად დაიცავს სამკურნალო ტალახებს და ამ ტერიტორიას შეუნარჩუნებს პირვანდელ სახეს. პარკს და დიდების მემორიალს მიენიჭა გამწვანებული ტერიტორიები (გტ), ხოლო პარკში ქუჩის მიმდებარედ გამოიყო საკურორტო სარეკრეაციო ზონა (შზ-4), რაც ბალნეოლოგიური კურორტის განვითარების შესაძლებლობა იქნება.

ცენტრალური პარკის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც შედის გგ-ს არეალში, მიენიჭა გამწვანებული ტერიტორიები (გტ). დოკუმენტაციის თანახმად, მდინარე ახტალისხევი და მისი გამწვანებული სანაპირო ზოლი მნიშვნელოვანია და საჭიროა ჰქონდეს თავისი დაცვის ზონა, რათა მის კალაპოტში აღარ მოხდეს უკანონო მშენებლობის დაშვება, ასევე საჭიროა ამჟამად არსებული ქაოსური სავაჭრო შენობების დემონტაჟი და მათი ადგილმონაცვლეობა. დოკუმენტის თანახმად, ამ ტერიტორიაზე უნდა განვითარდეს ურბანული პარკი და დამუშავდეს განაშენიანების დეტალური გეგმა. შესაბამისად, ამ ზონას მიენიჭა გამწვანებული ტერიტორიები (გტ).

კონცეფციის მიხედვით სავაჭრო კვარტლის ახლიდან ფორმირებაა საჭირო, სავაჭრო ობიექტები მიზანშეწონილია ლოკალიზდეს ახლანდელი აგრარული ბაზრის მიმდებარედ და ტერიტორია მთლიანად დაეთმოს ვაჭრობას. ამიტომ, ამ ტერიტორიას მიენიჭა კომერციული ზონა (შზ5), რაც ხელს შეუწყობს ამ კუთხით მის შემდგომ განვითარებას. რკინიგზის სადგურის მოედანი და პლატფორმის მიმდებარე ხეივანი წარმოადგენს ქალაქის საზოგადოებრივი ცენტრის ლოგიკურ გაგრძელებას, და აქ დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, შესაბამისად, მას მიენიჭა ცენტრის ზონა (შზ2). პლატოზე მოიაზრება საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე სივრცეების განვითარება და შესაბამისად, მას მიენიჭა ცენტრის ზონა (შზ2), ხოლო მარჯვენა ნაწილში შეიძლება განვითარდეს სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი უბანი, რომელსაც მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ4) მიენიჭა და ის საცხოვრებლის გარდა სხვა ფუნქციებსაც მოიცავს. თავისუფლების ქუჩა მოქცეულია ახტალის პარკსა და დიდების მემორიალურ პარკს შორის, მას მიენიჭა - ლოკალური ტრანსპორტის და მთავარი ქუჩების (ქვედა ტაქსონომიური დონე) - ფუნქციური ქვეზონა. გურჯაანის ცენტრის ტერიტორიაზე ნაკლები ინტენსივობის ზონებს, რომლებიც შედარებით პერიფერიულ ნაწილში მდებარეობენ, მიენიჭათ: „საცხოვრებელი ზონა 3“, „საცხოვრებელი ზონა 2“.

ცხრილის სახით წარმოდგენილია პროექტში გამოყენებული ფუნქციური ზონები, ფუნქციური ქვეზონები და არასამშენებლო ტერიტორიები. ასევე, წარმოდგენილია ცენტრალური ნაწილის ზონირების და ქვეზონების რუკა.

სგშ-ის სკოპინგის განცხადებაში, წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის (ქალაქი გურჯაანი) გარემოს ზოგადი აღწერა, კერძოდ: დახასიათებულია მუნიციპალიტეტის ფიზიკური გარემო-პირობები, მათ შორის - კლიმატი, გეოლოგიური პირობები/საფრთხეები, რელიეფი, ჰიდროქსელი, ნიადაგები, სასარგებლო წიაღისეული, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები. აღწერილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ობიექტები.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, მუნიციპალიტეტში გავრცელებულია შემდეგი ბუნებრივი საფრთხეები: ძლიერი ქარი, თავსხმა ხასიათის წვიმა, სეტყვა, გვალვა, მდინარის ნაპირის წარეცხვა, წყალმოვარდნა, მეწყერი, ღვარცოფი. აღნიშნული საფრთხეები, დოკუმენტის თანახმად, საშიშროებას უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს მიწებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. გურჯაანის მუნიციპალიტეტში არ არსებობს კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა, ხოლო საგანგებო სიტუაციებზე

რეაგირებაზე პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფო კომისია და სახანძრო სამაშველო სამსახური. დოკუმენტის თანახმად ადგილობრივ ხელისუფლებას ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების მცირედი რესურსი აქვს: მძიმე ტექნიკის მობილიზება, ხევების გაწმენდა, გზების გასუფთავება - დახმარების მიღება შესაძლებელია ცენტრალური ხელისუფლებიდან.

სკოპინგის განცხადებაში დინამიკის გასაანალიზებლად ცხრილის სახით წარმოდგენილია კახეთის მხარეში 2019-2021 წლებში გააქტიურებული, ან ახლად წარმოქმნილი გეოლოგიური პროცესების და საშიშროების რისკის ზონაში მოქცეული მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ ინფორმაცია.

ქალაქ გურჯაანს კვეთს სამი მდინარე: მდ.კოტეხისხევი, მდ.ვეძირული და მდ.ახტალისხევი; მდ. ახტალისხევი მჭიდროდ არის დატვირთული უსისტემოდ აშენებული სავაჭრო ნაგებობებით. 2021 წელს ქ. გურჯაანში ლოკალურ უბანზე ადგილი ჰქონდა ნაპირის გარეცხვის პროცესის საშუალო დინამიკით აქტივიზაციას. ღვარცოფული და ნაპირის გარეცხვის პროცესების დაბალი და საშუალო ინტენსივობით რეაქტივიზაციას ადგილი ჰქონდა მდ. ფაფრისხევის ხეობაში. 2023 წლის 15 ივნისს ქალაქ გურჯაანში მოსულმა უხვმა ნალექმა დღის მეორე ნახევარში მდინარეების ნავთისხევისა და ახტლისხევის ადიდება და კალაპოტიდან გადმოსვლა გამოიწვია. სტიქიის შედეგად დაიტბორა გზები, საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, ეზოები, კომერციული ფართები. განადგურდა ან დაზიანდა საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა და კერძო საკუთრება.

სკოპინგის განცხადებაში დახასიათებულია მუნიციპალიტეტის არსებული წიაღისეული რესურსები, ტყის რესურსები, ბიომრავალფეროვნება, ბუნებრივი ღირებულებები/დაცული ტერიტორიები, განახლებადი ენერგიის წყაროები.

დოკუმენტის თანახმად, მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის ძირითადად ზედაპირული წყლები გამოიყენება; არსებული წყლის რესურსი საკმარისია მუნიციპალიტეტის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გააჩნია ცენტრალიზებული წყალმომარაგება; წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და წყლის დიდ დანაკარგს ადგილი არ აქვს. დიდ დასახლებებში ცენტრალური წყალმომარაგების სისტემებზე დამონტაჟებულია ინდივიდუალური მრიცხველები. გურჯაანის მუნიციპალიტეტში არსებობს წყლის რესურსების მართვა-განკარგვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

ქალაქ გურჯაანის წყალარინების სისტემის ძირითადი ნაწილი ასევე შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' ბალანსზეა. ქალაქ გურჯაანის საკანალიზაციო სისტემით დაფარულია მოსახლეობის 100%. ქალაქში წყალარინების სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია მოხდა წყალმომარაგების სისტემასთან ერთად, რეაბილიტაცია ძირითადად შეეხო ცენტრალურ კოლექტორებს, ქალაქის დარჩენილ ნაწილში მოეწყო ახალი საკანალიზაციო კოლექტორები. დოკუმენტის თანახმად დასრულებულია ქალაქის გამწმენდი ნაგებობის პროექტირება.

სკოპინგის განცხადების თანახმად, განხორციელდა გეგმარებითი ერთეულის ზედაპირული წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები. სკოპინგის განცხადებაში კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილის სახით, სადაც წყლის ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით მდ. ახტალის წყალში ტოტალური კოლიფორმები და E-Coli ხოლო, მდ.ვეძილურის წყალში და ახტალისხევის არხის წყალში ჟბმ5, ტოტალური კოლიფორმები და E-Coli ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატებოდა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია პასუხისმგებელია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე, კერძოდ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე მისი ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში. ნარჩენების მართვის მომსახურება მიეწოდება ქალაქ გურჯაანს და მუნიციპალიტეტში არსებულ მუნიციპალიტეტის 23 ტერიტორიული ერთეულის ყველა დასახლებულ პუნქტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილში განხილულია: საგზაო ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მასთან მისაწვდომობა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიობა და ტრანზიტი, მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების ძირითადი საკითხები და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის სოციალური გარემოს ნაწილში აღწერილია ქალაქის განაშენიანება (საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები).

დოკუმენტის თანახმად ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ალტერნატივების განხილვა მოხდება შემდეგი დონეებისთვის:

1. სტრატეგიული ალტერნატივები
2. გეგმარებითი ალტერნატივები
3. კონკრეტული საქმიანობის ალტერნატივები

სტრატეგიული ალტერნატივები

სტრატეგიული ალტერნატივების სივრცითი ანალიზი შესრულებული იქნება შემდეგი ინდიკატორების საშუალებით:

o გარემოს ხარისხი;

o ცხოვრების დონე;

o საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა;

o ტურისტული მიმზიდველობა;

o კულტურული მემკვიდრეობა;
o ბუნებრივი საფრთხეები;
o სხვა შესაძლო ინდიკატორ(ებ)ი;
ინდიკატორული შეფასების რანჟირება იწარმოებს დოკუმენტში მოცემული მატრიცის ფორმატის მიხედვით.

გეგმარებითი ალტერნატივების შერჩევა მოხდება შემოთავაზებული ალტერნატივების (ალტერნატივა 1, ალტერნატივა 2, და ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე (გეოლოგია, ნიადაგები, მიწის გამოყენება, წყლის რესურსები, ჰაერის ხარისხი, ნარჩენების გენერირება, ადამიანის ჯანმრთელობა, სოციო-ეკონომიკური) მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის (ფაქტორი 1, ფაქტორი 2, და ფაქტორი) ხარისხის გათვალისწინებით.

მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის რანჟირების დონეებია: ძლიერი უარყოფითი ზემოქმედება (-2), უარყოფითი ზემოქმედება (-1), ზემოქმედება ცვლილების გარეშე (0), დადებითი ზემოქმედება (+1), ძლიერი დადებითი ზემოქმედება (+2).

კონკრეტული საქმიანობების ალტერნატივების (ალტერნატივა 1, ალტერნატივა 2 და ნულოვანი ალტერნატივა) რანჟირების (ძლიერი უარყოფითი ზემოქმედება (-2), უარყოფითი ზემოქმედება (-1), ზემოქმედება ცვლილების გარეშე (0), დადებითი ზემოქმედება (+1), ძლიერი დადებითი ზემოქმედება (+2)) ანალოგიური მიდგომები იქნება გამოყენებული კონკრეტული მნიშვნელოვანი ზემოქმედების (მიწათსარგებლობის ფართობის ზრდა, ნიადაგის შეშფოთება, გრუნტის წყლის ხარისხი, ზედაპირული წყლის ხარისხი, წყლის ბინადარნი, ველური სამყარო, ნარჩენების გენერირება, ადამიანის ჯანმრთელობა, სოციო-კულტურული ასპექტები, სხვა გამოვლენილი ფაქტორ(ებ)ი) მქონე საქმიანობებისთვის.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება გარკვეული პერიოდით, სხვადასხვა ხარისხით უარყოფით ზეგავლენას იქონიებს: სოციალურ გარემოზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, ნიადაგსა და გრუნტზე, ბიოლოგიურ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, სკოპინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას შედარებით დადებითი ზეგავლენა ექნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სგშ-ის ეტაპზე გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხებია ატმოსფერული ჰაერი და ხმაურის დონე, წყლის რესურსები, ნიადაგი, ბიომრავალფეროვნება, ვიზუალურ-ლანდშაფტური და სოციალური გარემო.

ჩატარებული კვლევის შედეგების საშუალებით მოხდება შემარბილებელი და კომპენსირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობის და რეკომენდაციების ზუსტი განსაზღვრა შემდეგი საკითხების მიხედვით:

· ატმოსფერული ჰაერი;
· ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
· ნიადაგი;

· ბიოლოგიური გარემო;
·კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები;
·არქეოლოგიური ძეგლები;
· სოციალური გარემო;

სკოპინგის განცხადებაში განხილულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ზღუდრის წმ. გიორგის ეკლესია, იოსებ ნონეშვილის ძეგლი, "პაპა და შვილიშვილი", სამების ეკლესია, ტატიას საყდარი, ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი, შინმოუსვლელთა მემორიალი, წყალსადენი, კვირაცხოვლის ეკლესია). გეგმარებითი ერთეულის საზღვრებში ერთი კულტურული უძრავი ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი ხვდება - კვირაცხოვლის ეკლესია, თუმცა, დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე პირდაპირ ზემოქმედება არ იქნება.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორცილების პროცესში გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

ქალაქი გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას.
2. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.
3. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები.
4. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი.
5. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების

ვადების მითითებით, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში.

6. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები.

7. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ანგარიშზე მუშაობისას, კონცეფციით გათვალისწინებულ ხედვებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით, სს საქართველოს რკინიგზასთან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციების შედეგების შესახებ ინფორმაცია.

8. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს ყველა კომპონენტებზე (მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე) შესაძლო ზემოქმედების შესახებ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი და წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის.

9. **სგშ-ის ანგარიშის** გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო - გეოლოგიური პირობები; გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.

10. **სგშ-ის ანგარიშში** აისახოს ინფორმაცია მდინარისპირა რეკრეაციული დერეფნებისა და კუნძულების განვითარების შემთხვევაში, შესაბამისი ჰიდროლოგიური კვლევებისა და რისკების შეფასების შესახებ, დოკუმენტში მითითებული სავარაუდო დატბორვის არეალების განსაზღვრის და მათი მართვის ღონისძიებების გათვალისწინებით;

11. **სგშ-ის ანგარიშში** ნარჩენების მართვის საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. აგრეთვე, მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად.

12. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს ინფორმაცია ტურიზმის განვითარებისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

13. **სგშ-ის ანგარიშსა** და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გეგმარებით არეალში არსებული და მოსაწყობი საფეხმავლო და ველობილიკების შესახებ. ასევე განისაზღვროს ტურისტული აქტივობების ლიმიტები/პირობები.

14. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც განაშენიანების სტრატეგიული, გეგმარებითი და კონკრეტული ალტერნატივების განხილვა, ასევე, ამ ალტერნატივების შეფასება და შედარება გარემოსა და/ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე

მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით. წარმოდგენილი უნდა იყოს ალტერნატივების შერჩევის მიმოხილვა.

15.**სგშ-ის ანგარიშში** შეფასებული უნდა იყოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ალტერნატივებით განხილული ხედვებისა და ღონისძიებების განხორციელებით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის საკითხები და განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი შერბილების ღონისძიებები.

16.**სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ (შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით).

17. **სგშ-ის ანაგრიშში** საჭიროა სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული საქმიანობების ფარგლებში ზედაპირულ წყლებზე მოსალოდნელი პოტენციური ზემოქმედებების სახეების იდენტიფიცირება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ასახვა.

18. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა იყოს განხილული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოს კომპონენტებზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი, ასევე შესაბამისი შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებები (პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მითითებით).

19. **სგშ-ის ანგარიშს** უნდა დაერთოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების shape ფაილები;

20. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ქ. გურჯაანში არსებულ რეკრეაციული ტერიტორიების შესახებ ან/და მათი განაწილების თაობაზე ერთ სულ მოსახლეზე. ტერიტორიები, რომელთაც შემდგომ მიენიჭებათ შესაბამისი სარეკრეაციო ზონალობა ასევე უნდა აისახოს რუკაზე, მოხდეს მათი გამიჯვნა საცხოვრებელი და სხვა საზოგადოებრივსაქმიანი ზონებისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული სარეკრეაციო ტერიტორიების ფართობის შემცირება. ასევე, გათვალისწინებულ იქნას გამწვანებული ტერიტორიების ინვენტარიზაცია; ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ურბანული პარკისა და მისი მოწყობის პირობების თაობაზე.

21. **სგშ-ის ანგარიშში** მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით გათვალისწინებული არსებული და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ;

22. **სგშ-ის ანგარიშში** დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე წყალმომარაგების და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები.

23. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე, კვალიფიკაციის მითითებით

24.**სგშ-ის ანგარიშის** მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოთი” გათვალისწინებული რეკომენდაციები და მიდგომები.

25. **სგშ-ის ანგარიშში** მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა.

სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ დანართის სახით წარმოდგენილია ქალაქი გურჯაანის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) ლიცენზიის და ახტალის სამკურნალო ტალახის საბადოს და მასზე გაცემული ლიცენზიის SHP-ფაილები.
- სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იყოს დამატებითი ინფორმაცია განაშენიანების გეგმით გათვალისწინებული, პროექტების განხორციელებით ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედების ხარისხის შესახებ.
- სკოპინგის ანგარიშის გარემოს დაცვის ნაწილში მოცემულია გარემოს დაბინძურების კომპონენტების ამჟამად არსებული ფონური მაჩვენებლები; ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, ზედაპირული წყლის ხარისხი, ნიადაგის დაბინძურების ხარისხი. წარმოსადგენ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში მკაფიოდ უნდა გაიწეროს მშენებლობის პერიოდის ის შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებით შენარჩუნდება არსებული ფონური მაჩვენებლები.
- სგშ-ანგარიშში კომპეტენციის ფარგლებში მოცემული იყოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით კულტურული მემკვიდრეობის საკითხები განხილულია დოკუმენტის (ქ. გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის კვლევების შედეგები და კონცეფცია, დანართი N4 „ქ. გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში“) შესაბამის ქვეთავში (5.17, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები). ამ ნაწილში მოყვანილია მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ობიექტების ჩამონათვალი, მაგრამ არ არის აღნიშნული მათი როლი გურჯაანის ცენტრალური ნაწილის ფორმირების საკითხთან მიმართებაში და საპროექტო წინადადებების იმპლემენტაცის შედეგად, სავარაუდო ზეგავლენის შეფასება, საჭიროა ასევე ყურადღების გამახვილება ისტორიულად ჩამოყალიბებულ სივრცით-გეგმარებით სტრუქტურაზე, რომლის გათვალისწინება აუცილებელია ცენტრის შემდგომი განვითარების საკითხების გადაწყვეტაში. კონცეფციის თანახმად, პროექტი ითვალისწინებს ცენტრალურ ნაწილში რიგ ცვლილებებს, მათ შორის „ქალაქის გრძელვადიანი, მდგრადი განვითარება განსაკუთრებულ შემთხვევებში მოითხოვს ზოგიერთი გზის გაგანიერებას, გადაადგილებას...“, გამოიყოფა კონკრეტული არეალები, სადაც იგეგმება ცვლილებების შეტანა არსებულ მიწათდაფარულობაში (იხ. ქ. გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის კონცეფცია, რუკა „ზონირების ძირითადი ვერსია“), ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია, რომ ურბანულ ლანდშაფტზე პროექტით გამოწვეული ზეგავლენების შეფასება მნიშვნელოვანი საკითხია გურჯაანის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ცენტრალური ნაწილის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.
- სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას ყურადღება მიექცეს მდინარეების ნავთისხევისა და ახტალისხევის სანიაღვრე და წყალარინების სისტემების მოწყობას და შესაბამისად, დაიგეგმოს სათანადო სარეკონსტრუქციო თუ სამშენებლო სამუშაოები.

- სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, საჭიროა კულინარიის და გასტრონომიის პოტენციალის და რესურსის ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც დაგეგმილია გარკვეული ტურისტული მიმართულებების განვითარება.
- სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს ქალაქის რელიეფის ზოგადი დახასიათება.
- სტრატეგიული შეფასების ანგარიშში გურჯაანის ცენტრალური ნაწილის ფუნქციური ზონირების რუკა უნდა შეესაბამებოდეს სტრატეგიული დოკუმენტის გრაფიკული ნაწილის რუკას.

<u>სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.</u>

დასკვნითი ნაწილი:

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტის სგშ-ის ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.